ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1569651

ნომერი: AR1261106

თარიღი : 27.10.2014

გაცემის თარიღი : 31.10.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კნიაზ დასენი პ/ნ 01025003374
- კედიას ქ. 3, ბინა 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, ქ. თბილისში, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.12.08.034.008) I კლასის კომერციული ობიექტის განთავსებას .

სამსახურმა არაერთხელ იმსჯელა აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), ასევე განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების და საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისთვის შეზღუდულ ზონაში, ამასთანავე მიწის ნაკვეთის ფართობის სიმცირიდან (80 კვ.მ) გამომდინარე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

– სამსახურის მიერ გაცემული პასუხები აღნიშნული მიწის ნაკვეთის განვითარების შესაძლებლობაზე შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.tas.ge (№1314588, №1096456 და №1505088 გადაწყვეტილება, ასევე №1408719 ბრძანება);

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.